

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

12. 04. 2016 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N19/36
2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	5
უპირობო მოსაზრება.....	5
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	6
შრომის ანაზღაურება	6
ურთიერთგაგების მემორანდუმი	8
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	9
ხარჯები	9
არაფინანსური აქტივების ზრდა.....	13
ვალდებულებების კლება	13
მოთხოვნები და ვალდებულებები	14
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	15
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	16




ზოგადი ინფორმაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან. მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვაგვარი საქმიანობის უზრუნველყოფის, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით იქმნება მთავრობის აპარატი. მთავრობის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საბალანსო მონაცემებით ორგანიზაციის წმინდა ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7 360.5 ათას ლარს. მთავრობის აპარატი ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება წარმოდგენილია დიაგრამის სახით (ათას ლარში):





დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უპირობო მოსაზრება


ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მთავრობის აპარატის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.



მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

შრომის ანაზღაურება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის შრომის ანაზღაურების მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 2 358.6 ათასი ლარი, საიდანაც 1 328.6 ათასი ლარი წარმოადგენს თანამდებობრივ სარგოს, 330.0 ათასი ლარი - პრემიას, ხოლო 700.0 ათასი ლარი - დანამატს. 2014 წელთან მიმართებაში თანამდებობრივი სარგოს მოცულობა შემცირებულია 74.9 ათასი ლარით, პრემიის მოცულობა შემცირებულია 753.9 ათასი ლარით, ხოლო დანამატის მოცულობა გაზრდილია 700.0 ათასი ლარით. შესაბამისად, 2014 წელთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შემცირებულია პრემიის სახით გაცემული თანხების ოდენობა, თუმცა ამავე დროს, მკვეთრად გაიზარდა „დანამატის“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N27 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის“ ამოქმედებითაც. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს პრემიის დანამატით ჩანაცვლებას. შედარებისთვის წარმოდგენილია ინფორმაცია ბოლო სამი წლის შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ (თანხა ათას ლარში):




როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2013-2014 წლებში არ ხდებოდა დანამატის მუხლით შრომის ანაზღაურების გაცემა. 2015 წლის პრემიისა და დანამატის ჯამური მოცულობა 2013 წლის პრემიასთან მიმართებაში შემცირებულია 10.7%-ით, ხოლო 2014 წლის პრემიასთან მიმართებაში - 5%-ით.

პრემია წლის განმავლობაში გაცემულია 6-ჯერ. მათ შორის, მარტის თვეში - ორჯერ. პრემია გაცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის



თავმჯდომარის ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საპრემიო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად. ინფორმაცია თვეების მიხედვით გაცემული პრემიის შესახებ წარმოდგენილია დიაგრამის სახით (თანხა ათას ლარში):



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში დანამატის გაცემის საფუძველია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 21 იანვრის N10 ბრძანება, რომელიც ადგენს მთავრობის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის გასაცემი ყოველთვიური დანამატების ოდენობას. დანამატი განსაზღვრულია თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში და ის თანამდებობების მიხედვით შეადგენს თანამდებობრივი სარგოს 40%-ს, 60%-ს და 75%-ს. ბრძანება გამოცემულია, შესაბამის პერიოდში მოქმედი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 21 იანვრის N9 განკარგულების¹ შესაბამისად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს“, ხოლო მე-2 პუნქტით - „სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოხელეს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით

¹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 21 იანვრის განკარგულება N9 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, მთავრობისა და სამინისტროების საქვეუწყებო დაწესებულებების და მათი ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთათვის გასაცემი დანამატების ზღვრული მოცულობების განსაზღვრის შესახებ“



საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში, დადგენილი წესით, საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესოს სხვა დანამატები². რადგან ზემოაღნიშნული დანამატი კანონით გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად დანამატის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის არსებობა, თუმცა აღნიშნული სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება.

ურთიერთგაგების მემორანდუმი

2015 წლის 24 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, სოფლების წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობასა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. მემორანდუმის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა 1989 წლის 19 აპრილის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საბინაო პრობლემების მოსაგვარებლად. მემორანდუმის თანახმად, მხარეებმა, სხვა საკითხებთან ერთად, მიაღწიეს ურთიერთგაგებას, რომ სოფლების წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობის მიერ დაფუძნებულ ამხანაგობა „წაბლანა-2015“-ს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, გაუწევს თანადაფინანსებას 1 550 000 ლარის ოდენობით. ამასთან, ამხანაგობა „წაბლანა-2015“ იღებს ვალდებულებას, პროექტის თითოეული ეტაპის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს მიაწოდოს ინფორმაცია პროექტის განხორციელებისა და შესრულების შესახებ, რაც დადასტურებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი აუდიტის ან/და შესაბამისი დარგის უფლებამოსილი პირის მიერ. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ თანადაფინანსების თანხის გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულება უპირობოდ კარგავს ძალას, თუ ადგილი ექნება შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ან მის მიერ დაქირავებული კონტრაქტორისათვის საქმიანობის ხელშეშლას დაზარალებული სოფლების ტერიტორიაზე. 2015 წლის 31 აგვისტოს, მთავრობის აპარატის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით², ამხანაგობა „წაბლანა-2015“-ს გადაერიცხა 400 000 ლარი³.

² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N266, 13/08/2015 წ.

³ საგადახდო დავალება N03940, 31/08/2015 წ.



ამხანაგობა „წაბლანა-2015“-ს, მემორანდუმის გაფორმებამდე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით⁴, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცა 5 001 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქალაქ ბათუმში. საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული იყოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ვადები, მისი განხორციელების ეტაპები, მშენებლობის გაჭიანურების, უკიდურეს შემთხვევაში, დაუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობისა და ბენეფიციართა ეფექტური დაცვის მექანიზმები.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 3 845.0 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტი - 3 810.8 ათასი ლარით. მთავრობის აპარატის 2015 წლის მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 728.5 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 97.8%-ია. სრული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (ათას ლარში):

მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	გადახრა (დაზუსტებული - საკასო)	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების პროცენტი
ხარჯები	3 656.0	3 545.2	3 463.9	81.3	97.7
შრომის ანაზღაურება	2 497.2	2 406.1	2 358.6	47.5	98
საქონელი და მომსახურება	1 123.8	720.0	689.1	30.9	95.7
სოციალური უზრუნველყოფა	0	2.8	2.8	0	99.9
სხვა ხარჯები	35.0	416.3	413.5	2.8	99.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	189.0	228.3	227.3	1.0	99.6
ვალდებულებების კლება	0	37.3	37.3	0	100
სულ:	3 845.0	3 810.8	3 728.5	163.6	97.8


ხარჯები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის ხარჯების ბიუჯეტი განისაზღვრა 3 656.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 545.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 3 463.9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული

⁴ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N115, 08/05/2015 წ.



ბიუჯეტის 97.7%-ია. ხარჯების წილობრივი გადანაწილება წარმოდგენილია დიაგრამის სახით:



შრომის ანაზღაურება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის შრომის ანაზღაურების დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 2 497.2 ათასი ლარი, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 2 406.1 ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 2 358.6 ათასი ლარი. 2014 წელთან მიმართებაში შრომის ანაზღაურების მთლიანი ხარჯი შემცირებულია 5.7%-ით.

საქონელი და მომსახურება


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის საქონელი და მომსახურების მუხლით გასაწევი ხარჯების ბიუჯეტი განისაზღვრა 1 123.8 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 720.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 689.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 95.7%-ია.

საქონელი და მომსახურების მუხლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის 2 სექტემბრის კანონით⁵ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, როდესაც შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ბიუჯეტი შემცირდა 78.0 ათასი ლარით, მივლინებები - 20.0 ათასი ლარით, ოფისის ხარჯები - 50.0 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯები - 60.0 ათასი ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 80.0 ათასი

⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის 2 სექტემბრის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, სარეგისტრაციო კოდი 190040000.30.056.016050



ლარით, ხოლო სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 7.8 ათასი ლარით. ჯამში, ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, მხოლოდ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გასაწევი ხარჯების ბიუჯეტი შემცირდა 295.8 ათასი ლარით. სრული ინფორმაცია საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯის შესახებ წარმოდგენილია დიაგრამის სახით (თანხა ათას ლარში):



შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება. მთავრობის აპარატში, 2015 წლის განმავლობაში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, დასაქმებული იყო 6 შტატგარეშე მომუშავე. გაცემულმა ჯამურმა გასამრჯელომ შეადგინა 65.3 ათასი ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასი მერყეობს 250 ლარიდან 1750 ლარამდე. 2014 წელთან შედარებით შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების საკასო ხარჯი შემცირებულია 38.3%-ით.

მივლინება. მივლინებების საკასო ხარჯმა შეადგინა 120.4 ათასი ლარი, მათ შორის, მივლინებამ ქვეყნის შიგნით - 26.7 ათასი ლარი, ხოლო მივლინებამ ქვეყნის გარეთ - 93.8 ათასი ლარი. 2015 წლის მივლინებების ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 121.2 ათასი ლარი. სხვაობა განპირობებულია წლის ბოლოს 4 მივლინებული პირისთვის გასაცემი თანხით. 2014 წელთან მიმართებაში მივლინებების საკასო ხარჯი გაზრდილია 170.5%-ით.

ოფისის ხარჯები. ოფისის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 205.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 213.7 ათასი ლარი. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 8.0 ათას ლარს. ფაქტიური ხარჯის მეტობა გამოწვეულია წლის დასაწყისისთვის არსებული მარაგების ნაშთის 2015 წლის განმავლობაში ჩამოწერით. 2014 წელთან მიმართებაში ოფისის ხარჯები გაზრდილია 4.3%-ით.

წარმომადგენლობითი ხარჯები. წარმომადგენლობითი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 211.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 203.5 ათასი



ლარი. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 8.2 ათას ლარს. საკასო ხარჯის მეტობა გამოწვეულია წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით შეძენილი ფასეულობების 2016 წლის 1 იანვრისათვის საწყობში გაუხარჯავი ნაშთის არსებობით. 2014 წელთან მიმართებაში წარმომადგენლობითი ხარჯები შემცირებულია 3.0%-ით.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 69.2 ათასი ლარი, საიდანაც 46.5 ათასი ლარი გაწეულია საწვავ-საპოხი მასალების შესაძენად, 22.1 ათასი ლარი წარმოადგენს სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების ხარჯს, ხოლო 0.6 ათასი ლარი გადახდილია ტრანსპორტის დაქირავებისთვის. 2014 წელთან მიმართებაში ხარჯები შემცირებულია 29.0%-ით.

სააუდიტო პერიოდში მთავრობის აპარატის სარგებლობაში იმყოფებოდა 15 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება⁶, საიდანაც 9 ერთეული განპიროვნებულია შესაბამის თანამდებობის პირებზე, 2 ერთეული წარმოადგენს სასტუმრო-საპროტოკოლო ავტომანქანას, ხოლო 4 ერთეული - მორიგე ავტომანქანას. მთავრობის აპარატი არ უზრუნველყოფს დოკუმენტაციის წარმოებას მორიგე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიზნობრივად გამოყენების დასადასტურებლად.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საკასო ხარჯმა შეადგინა 16.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 12.5 ათასი ლარი. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 4.2 ათას ლარს. საკასო ხარჯის მეტობა გამოწვეულია სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით შეძენილი საქონელის 2016 წლის 1 იანვრისათვის საწყობში გაუხარჯავი ნაშთის არსებობით. 2014 წელთან მიმართებაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები გაზრდილია 35.9%-ით.

სოციალური უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სოციალური უზრუნველყოფის 2015 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა, საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 2.8 ათასი ლარი.

სხვა ხარჯები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის ბიუჯეტით სხვა ხარჯების გეგმა განისაზღვრა 35.0 ათასი ლარით, ხოლო

⁶ 2015 წლის მარტიდან - 14 ერთეული



დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 416.3 ათასი ლარი. არსებითი სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის ძირითად განპირობებულია მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმის პარაგრაფში განხილული, ურთიერთგაგების მემომანდუმის გაფორმების გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 400.0 ათასი ლარით, რომელიც დაფინანსებული იქნა სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების მუხლიდან. გარდა ამისა, 20.0 ათასი ლარით შემცირებულია სხვა ხარჯების ბიუჯეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის 2 სექტემბრის კანონით⁷ განხორციელებული ცვლილებების შედეგად. სხვა ხარჯების საკასო შესრულებამ და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 413.5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის ბიუჯეტით, არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განისაზღვრა 189.0 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 228.3 ათასი ლარი, გადახდამ - 227.3 ათასი ლარი. 2014 წელთან მიმართებაში არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო ხარჯი გაზრდილია 52.5%-ით. ზრდა ძირითადად განაპირობა წლის ბოლოს განხორციელებულმა 192.8 ათასი ლარის ღირებულების არამატერიალური ძირითადი აქტივების (ლიცენზიების) სახელმწიფო შესყიდვამ⁸.

ვალდებულებების კლება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ვალდებულებების კლების დასაფინანსებლად თანხები გათვალისწინებული არ ყოფილა. 2015 წლის 30 იანვარს განხორციელებული შიდა მუხლობრივი გადანაწილებით, ვალდებულებების კლების ბიუჯეტი განისაზღვრა 8.3 ათასი ლარით, საიდანაც დაიფარა 2015 წლის 1 იანვრისთვის არსებული 7.8 ათასი ლარის ოდენობის მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები და 0.2 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით. ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსით

⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის 2 სექტემბრის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, სარეგისტრაციო კოდი 190040000.30.056.016050

⁸ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N91, 16/12/2015 წ.



გაუთვალისწინებელი 0.3 ათასი ლარის ოდენობის სასამართლო ბაჟი და სააღსრულებო მოსაკრებელი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსით გათვალისწინებული არ ყოფილა აგრეთვე 29.0 ათასი ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N37-ში არსებული შენობა-ნაგებობისთვის, რომელიც 2012 წლის ოქტომბრამდე იმყოფებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე, სიმძლავრის ზრდის საფასურს. დავალიანების აღიარების⁹ შემდეგ, ვალდებულებების დასაფინანსებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის 2 სექტემბრის კანონით¹⁰ განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც 29.0 ათასი ლარით გაიზარდა ვალდებულებების კლების ბიუჯეტი. შედეგად, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა და საკასო ხარჯმა შეადგინა 37.3 ათასი ლარი.

მოთხოვნები და ვალდებულებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების თანახმად, ორგანიზაციას დებიტორული დავალიანება არ ჰქონდა, ხოლო კრედიტორული დავალიანების სახით ერიცხებოდა 8.0 ათასი ლარი, საიდანაც 7.8 ათასი ლარი წარმოადგენდა მომსახურების მიწოდებით დარიცხულ ვალდებულებებს, ხოლო 0.2 ათასი ლარი - ვალდებულებებს მივლინებით ქვეყნის შიგნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მოთხოვნები, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 0.04 ათას ლარს¹¹, ხოლო ვალდებულებები 0.8 ათას ლარს¹².

⁹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის წერილი N1292/02, 05/08/2015 წ.

¹⁰ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის 2 სექტემბრის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, სარეგისტრაციო კოდი 190040000.30.056.016050

¹¹ მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

¹² ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით - 60 ლარი, ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ - 694 ლარი



აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

გურამ დუმბაძე

/უფროსი აუდიტორი/

12 აპრილი 2016 წელი



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		0
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		0
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		0
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		0
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		0
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		0
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		0
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		0
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		0
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		0
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		0
130	მოკლევადიანი სესხები	1320		0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		0
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხ	1354		0
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათი ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდ	1355		0
210	გადახდილი დღგ	1356		0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		0
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		0
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		0
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		0
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		0
280	მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		38
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		0
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		0
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		0
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		0
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		0
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		0
350	გრძელვადიანი სესხები	1510		0
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		0
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		0
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		0
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		0
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	65,116	73,524
410	შენობა-ნაგებობები	2110	6,799,331	6,729,224
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	464,283	380,108
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	4,484	177,389
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	2140		0
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	5,411	983
460	ფასეულობები	2300		0
470	არაწარმოებული აქტივები	2400		0
ზაღვანსი			7,338,625	7,361,265



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		0
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	36,829	0
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		0
510	ვალდებულებები ბარტერიით	3230		0
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		0
530	გადასახდელი დღგ	3242		0
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		0
550	სხვა გადასახდელები	3244	270	0
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		0
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		0
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		0
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		0
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	150	60
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		694
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული	3255		0
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხულ	3256		0
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		0
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		0
660	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259		0
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		0
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		0
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		0
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		0
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		0
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		0
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		0
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		0
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	7,301,376	7,360,511
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		0
770	გაუნაწილებელი მოგება	5220		0
780	დაუფარავი ზარალი *	5230		0
ბალანსი			7,338,625	7,361,265

III. საენოზარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარ	01	0	0
800	პასუხსაგებ შენახვებზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	0	0
810	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03	0	0
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	103,680	102,949
830	პირობითი მოთხოვნები	05	0	0
840	პირობითი ვალდებულებები	06	0	0
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	0	0
860	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	542,596	554,259
870	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	0	0
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	22,535	31,042
890	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	0	0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

ბ. ა.

* აღნიშნული სტრიქონის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯამს



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა 1

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
ორგანიზაციის დასახელება აჭარის არ მთავრობის აპარატი

კოდი 245424090

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2015 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	3,656,000	3,545,200	3,522,655	3,463,890	3,463,890	3,658,146	194,256
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	2,497,200	2,406,087	2,406,087	2,358,562	2,358,562	2,358,562	0
030	1.1.1 ხელფასები	211	0	0	2,406,087	2,358,562	2,358,562	2,358,562	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	0	0	2,406,087	2,358,562	2,358,562	2,358,562	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	0	0	1,328,824	1,328,576	1,328,576	1,328,576	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	0	0	377,290	330,013	330,013	330,013	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114	0	0	699,973	699,973	699,973	699,973	0
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	1,123,800	720,000	700,285	689,052	689,052	685,455	- 3,597

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
160	1.2.1.1 მატერიალზე მომუშავეთა ანაზღაურება	221	0	0	66,000	65,340	65,340	65,340	0
170	1.2.1.2 მივლინება	222	0	0	131,000	120,439	120,439	121,192	754
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223	0	0	205,703	205,692	205,692	213,716	8,024
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	0	0	211,734	211,734	211,734	203,535	- 8,200
200	1.2.1.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.1.6 სამედიცინო ხარჯები	226							
220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227							
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შემსახვის ხარჯები	228	0	0	69,201	69,201	69,201	69,201	0
240	1.2.1.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	0	0	16,647	16,647	16,647	12,471	- 4,176
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება *	23	0	0	0	0	0	197,788	197,788
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							

29/02/16 11:53:02

გვერდი 2 5-დან



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯისა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
330	1.4.2 საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული საშინაო ვალდებულებებზე	243							
350	1.5 სუბსიდიები	25							
360	1.6 გრანტები	26	0	0	0	0	0	65	65
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა სახელმწიფო ერთეულებს	263	0	0	0	0	0	65	65
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631	0	0	0	0	0	65	65
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27		2,813	2,813	2,811	2,811	2,811	0
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							

29/02/16 11:53:02

გვერდი 3 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯისა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272							
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721							
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	0	0	2,813	2,811	2,811	2,811	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	0	0	2,813	2,811	2,811	2,811	0
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28	35,000	416,300	413,471	413,464	413,464	413,464	0
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	0	0	413,471	413,464	413,464	413,464	0
630	1.8.2.1 სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	2821	0	0	13,471	13,464	13,464	13,464	0
640	1.8.2.2 სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	2822	0	0	400,000	400,000	400,000	400,000	0

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯისა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
შ ა რ ე ე ნ ე ლ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა			სახელმწიფო ბიუჯეტით		არასახელმწიფო				
			წლიური გეგმით		ფაქტობრივად *		წლიური გეგმით		
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა									
1. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა									

* დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალოთვიური რაოდენობის უმაღლესი საანგარიშო პერიოდის თვეების რაოდენობაზე).

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

ბალანსის დანართი ფორმა #2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ							
ორგანიზაციის დასახელება			აჭარის არ მთავრობის აპარატი		კოდი		
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური			2015 წლის IV კვარტალი		ზომის ერთეული: ლარი		
სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	189,000	228,300	227,348	227,348	227,348
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	0	0	227,348	227,348	227,348
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111					
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არსაცხოვრებელი შენობები	31112					
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალური	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	0	0	34,576	34,576	34,576
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	0	0	34,576	34,576	34,576
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	0	192,772	192,772	192,772
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	0	0	192,772	192,772	192,772
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321	0	0	192,772	192,772	192,772
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 წვდომის და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 შუა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საჭიროები	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ზუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ზუნებრივი აქტივები	31432					

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____
მთავარი ბუღალტერი: ე. ხოვბაძე



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

ბალანსის დანართი ფორმა #2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ
ორგანიზაციის დასახელება: აჭარის არ მთავრობის აპარატი კოდი: 245424090
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2015 წლის IV კვარტალი ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივების ზრდა	32					
020	1.1 საშინაო	321					
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
040	1.1.2 ფინანსური ქარალდები, გარდა აქციებისა	3213					
050	1.1.3 სესხები	3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322					
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებების კლება	33	0	37,250	37,249	37,249	37,249
200	2.1 საშინაო	331					
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფინანსური ქარალდები, გარდა აქციებისა	3313					

სტრ. კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხოლოდ სახელმწიფო საწარმოები და ო	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორულ დავალიანებები	3318	0	0	37,249	37,249	37,249
280	2.2 საგარეო	332					
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხოლოდ სახელმწიფო საწარმოები და ო	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორულ დავალიანებები	3328					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

ბ. ა



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

ბალანსის დანართი ფორმა #3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის არ მთავრობის აპარატი

კოდი 245424090

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2015 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

ანგ. #	დებეტი	თანხა	ანგ. #	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისთვის	7,301,376
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	2,358,562	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	3,728,486
7200	საქონელი და მომსახურება	685,455	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენს. და დახმ -ის გასაცემად	0
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	197,788	6000	შემოსავლები	65
7310 -	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	197,788	6300	მ.შ. გრანტები	65
7400	პროცენტი	0			
7500	სუბსიდიები	0			
7600	გრანტები	7,205			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	2,811			
7800	სხვა ხარჯები	413,464			
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	4,131	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლ. საკასო შესრულებით *	0			
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	0			
	სადებეტო ბრუნვა	3,669,416		საკრედიტო ბრუნვა	3,728,551
	სულ ჯამი**	3,669,416		სულ ჯამი***	11,029,927
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	0		ნაშთი პერიოდის ბოლოს	7,360,511

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება საბელმწიფოს სახელით გაწეული მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან და სხვა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთი წლის დასაწყისისთვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთი წლის დასაწყისისთვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

ბ. ა



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

ბალანსის დანართი ფორმა # 5

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება **აჭარის არ მთავრობის აპარატი**

კოდი **245424090**

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2015

წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისის - თვის	მ ი ლ ე ბ ა									
			შესყიდვა წინა წლის ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	ბარტერით	არასაბურავი - ციო შემოსავლები	გრანტებით	სხვა შემოსავლები	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	სხვა მიღებები
010	1. მატერიალური მარაგები	65,116		178,308	0	0	0	0	0	0	0	0
020	1.1 სტრატეგიული მარაგები			0								
030	1.2 სხვა მატერიალური მარაგები	65,116		178,308	0	0	0	0	0	0	0	0
040	1.2.1 ნედლეული და მასალები			0								
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება			0								
060	1.2.3 მზა პროდუქცია			0								
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი			0								
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	928		46,424	0	0	0	0	0	0	0	0
090	1.2.6 სათიადარიგო ნაწილები	1,991		14,865	0	0	0	0	0	0	0	0
100	1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	62,197		117,019	0	0	0	0	0	0	0	0
110	2. ძირითადი აქტივები	7,268,098		227,348	0	0	0	0	0	0	0	0
120	2.1 შენობა-ნაგებობები	6,799,331		0								
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები			0								
140	2.1.2 არსაცხოვრებელი შენობები	6,799,331		0								
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალური			0								
160	2.1.4 ქუჩები			0								
170	2.1.5 გზები			0								
180	2.1.6 ხიდები			0								
190	2.1.7 გვირაბები			0								
200	2.1.8 გაცეცხლის სისტემები			0								
230	2.1.9 სხვა ნაგებობები			0								
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	464,283		34,576	0	0	0	0	0	0	0	0
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	326,863		0								
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	137,419		34,576	0	0	0	0	0	0	0	0
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	4,484		192,772								
280	2.3.1 კულტურული აქტივები			0								
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	4,484		192,772								

თარიღი: 15.10.2015

სტრუქტურა

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისის - თვის	მ ი ლ ე ბ ა									
			შესყიდვა წინა წლის ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	ბარტერით	არასაბურავი - ციო შემოსავლები	გრანტებით	სხვა შემოსავლები	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	სხვა მიღებები
300	2.4 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები			0								
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	5,411		4,149	0	0	65	0	0	0	0	0
320	4. ფასეულობები			0								
330	4.1 ბიურფასი ქვები და ლითონები			0								
340	4.2 ხელოვნების ნიმუშები			0								
350	4.3 სხვა ფასეულობები			0								
360	5. არაწარმოებული აქტივები			0								
370	5.1 მიწა			0								
380	5.2 წიაღისეული			0								
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები			0								
420	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები			0								

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

ბალანსის დანართი ფორმა # 5

კოდი 245424090

ზომის ერთეული: ლარი

2015 წლის IV კვარტალი

სტრ. კოდი	გ ა ს ვ ლ ა															ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
	გაყიდვით	ბარ - ტერ - ით	არასაოპერაციო ხარჯებით	აქტივებისა და სხვა კაპიტალის სახით	ხელფასები სასაქონლო ფორმით	სუბსი - დიებით	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთ. სახსრ. კაპიტ. შექმნა	ძირით. კაპიტალის მოხმარ.	საქონელი და მომსახურება	სხვა გასვლები	
010	0	0	0	0	0	0	320	0	0	0	14	0	0	169,566	0	73,524
020																0
030	0	0	0	0	0	0	320	0	0	0	14	0	0	169,566	0	73,524
040																0
050																0
060																0
070																0
080	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	46,424	0	928
090	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	14,931	0	1,926
100	0	0	0	0	0	0	320	0	0	0	14	0	0	108,211	0	70,670
110	0	0	0	0	0	0	6,820	0	0	0	4,117	0	197,788	0	0	7,286,721
120	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	70,107	0	0	6,729,224
130																0
140	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	70,107	0	0	6,729,224
150																0
160																0
170																0
180																0
190																0
200																0
230																0
240	0	0	0	0	0	0	6,820	0	0	0	4,117	0	107,814	0	0	380,108
250	0	0	0	0	0	0	6,820	0	0	0	0	0	70,762	0	0	249,281
260	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	4,117	0	37,052	0	0	130,827
270	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	19,867	0	0	177,389
280																0
290	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	19,867	0	0	177,389

ქვრი 1 2-დან

სტრ. კოდი	გ ა ს ვ ლ ა															ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
	გაყიდვით	ბარ - ტერ - ით	არასაოპერაციო ხარჯებით	აქტივებისა და სხვა კაპიტალის სახით	ხელფასები სასაქონლო ფორმით	სუბსი - დიებით	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთ. სახსრ. კაპიტ. შექმნა	ძირით. კაპიტალის მოხმარ.	საქონელი და მომსახურება	სხვა გასვლები	
300																0
310	0	0	0	0	0	0	65	0	0	0	0	0	0	8,577	0	983
320																0
330																0
340																0
350																0
360																0
370																0
380																0
390																0
420																0



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა #6

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე
ორგანიზაციის დასახელება აჭარის არ მთავრობის აპარატი

კოდი 245424090

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2015 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული საკასო ხარჯი				საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტიური ხარჯი			
			შეყენა		სახვა სახით მიღება		ექსპლუატაციი-დან გასული		სახვა სახით გასული		საანგარიშო პერიოდში გაწეული საკასო ხარჯი				საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტიური ხარჯი			
	რაო-დენ.	ლირებულ-დენ.	რაო-დენ.	ლირებულ-დენ.	რაო-დენ.	ლირებულ-დენ.	რაო-დენ.	ლირებულ-დენ.	რაო-დენ.	ლირებულ-დენ.	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათად. ნაწილი	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. ს. ნაწ.
1 სატრანსპორტო საშუალება სულ:	14	326,863							2	77,582	68,141	4,559	46,424	17,158	68,141	4,559	46,424	1
მათ შორის																		
1.1 მსუბუქი	14	326,863							2	77,582	68,141	4,559	46,424	17,158	68,141	4,559	46,424	1
1.2 უღებები და პიკაპები																		
1.3 სამგზავრო სატრანსპორტო საშუალება																		
1.4 სატვირთო																		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა